შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ WIZZ MultiPass / All You Can Fly მომხმარებლებისთვის

(ბოლო განახლების თარიღი: 10 აგვისტო, 2024)

კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე სრული შეტყობინების („შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ“) მიზანია, მოგაწოდოთ დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვამუშავებთ მონაცემებს თქვენ მიერ WIZZ MultiPass-ის ან/და All You Can Fly-ს (შემდგომში WIZZ MultiPass) გამოყენებასთან დაკავშირებით. შეტყობინება კონფიდენციალურობის შესახებ გაგარკვევთ, როგორ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, ასევე, განმარტავს, როგორ ვაგროვებთ, რისთვის ვიყენებთ და ვის ვუზიარებთ მათ. Wizz Air Hungary-ს მიერ მონაცემთა დამუშავების ზოგადი საქმიანობის შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინების სრული ვერსია.

მონაცემთა ერთობლივი ოპერატორები	**WIZZ Air Hungary Ltd.** (რეგისტრაციის ადგილი: Laurus Offices, Lecher Ödön fasor 6., H-1095, Budapest, Hungary; „**Wizz Air**“) და **Changeyourflight, S.L.** (რეგისტრაციის ადგილი: Carrer de la Diputacio 303, 08009 Barcelona, Spain; „**Changeyourflight**“; Wizz Air და Changeyourflight შემდგომში ერთობლივად მოიხსენიება როგორც „**ოპერატორები**“ ან „**ჩვენ**“) მოქმედებენ მონაცემთა ერთობლივ ოპერატორებად თქვენ მიერ ვებსაიტის გამოყენების დროს თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავებისას. Wizz Air-სა და Changeyourflight-ს გაფორმებული ერთობლივი ოპერატორის შეთანხმება, რომელშიც განსაზღვრულია ჩვენი ფუნქციები და პასუხისმგებლობები. Wizz Air არის მთავარი საკონტაქტო სუბიექტი და პასუხს აგებს თქვენს კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული მოთხოვნების, შეკითხვებისა თუ საჩივრების დამუშავებაზე. შეთანხმების პირობების მიუხედავად, თქვენ უფლება გაქვთ, ისარგებლოთ თქვენი უფლებებით მონაცემთა თითოეული ერთობლივი ოპერატორის მიმართ და წინააღმდეგ; Wizz Air, ასევე, პასუხისმგებელია, მოგაწოდოთ ინფორმაცია მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებით (როგორც ეს განმარტებულია კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებაში) და აცნობს შესაბამის ზედამხედველობით უწყებას მონაცემებთან დაკავშირებული დარღვევის შესახებ. ერთობლივი ოპერატორების შეთანხმების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მისამართზე data.protection@wizzair.com.
რა მიზნით მუშავდება მონაცემები?	თქვენს მონაცემებს გამოვიყენებთ შემდეგი მიზნებით: **1) გამოწერის სერვისის უზრუნველყოფა და მართვა:** თქვენს პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ WIZZ MultiPass-ის წესებისა და პირობების შესასრულებლად, განსაკუთრებით, იმისთვის, რომ WIZZ MultiPass-ის სერვისის გამოწერის საშუალება მოგცეთ, მართოთ თქვენი გამოწერა, გავაფორმოთ თქვენი ავიაბილეთების ჯავშნები და უზრუნველვყოთ გადახდის ოპერაციების დამუშავება. **2) მარკეტინგული კომუნიკაცია და საინფორმაციო ბიულეტენები:** მარკეტინგულ კომუნიკაციასთან და საინფორმაციო ბიულეტენებთან დაკავშირებით თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზანია ანალიტიკური მიზნით მომხმარებელთა გამოკითხვების ჩატარება, ხარისხის გაუმჯობესება, მომსახურების განვითარება, ვებსაიტის მუშაობის გაუმჯობესება, ჩვენი სარეკლამო კამპანიების წარმატების შეფასება, სერვისების თქვენს საჭიროებებზე მორგება ან თქვენთვის სასურველი საკომუნიკაციო არხის მეშვეობით საინფორმაციო ბიულეტენების გამოგზავნა. თუ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება ისეთი ახალი მიზნისთვის დაგვჭირდება, რომელსაც არ ითვალისწინებს კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინება, მონაცემების ახალი მიზნით დამუშავებამდე ჩვენ მოგაწვდით ახალ შეტყობინებას, რომელშიც განმარტებული იქნება მონაცემების ახლებურად დამუშავებასთან დაკავშირებული ყველა პირობა. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენ მოვითხოვთ თქვენს თანხმობას მონაცემთა დამუშავების ახალი ეტაპის დაწყებამდე.
რა პერსონალურ მონაცემებს ვამუშავებთ თქვენ შესახებ?	ზემოთ აღწერილი მიზნით დამუშავდება შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემები: **A. მგზავრის რეგისტრაციის ჩანაწერის (PNR) მონაცემები:** მათ შორის, მგზავრის დაბადების თარიღი, სქესი, სახელი და გვარი, მოქალაქეობა, საცხოვრებელი ქვეყნის სახელი, სამგზავრო დოკუმენტის მოქმედების ვადის გასვლის თარიღი, სამგზავრო დოკუმენტის საიდენტიფიკაციო ნომერი, სამგზავრო დოკუმენტის გამცემი ქვეყნის სახელი, სამგზავრო დოკუმენტის ტიპი, მომხმარებლის სახელი, მომხმარებლის მოქალაქეობა, მომხმარებლის ტელეფონის ნომერი. **B. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მონაცემები:** მათ შორის, გამოწერასთან დაკავშირებული ინფორმაცია, მგზავრის სახელი და გვარი, მოქალაქეობა, სქესი, ასაკობრივი ჯგუფი, პასპორტის ან ოფიციალური პირადობის მოწმობის ნომრები და მოქმედების ვადის გასვლის თარიღები, განსაკუთრებული მომსახურების მოთხოვნის კოდი (SSR) მგზავრებისთვის, რომლებსაც მოთხოვნილი აქვთ განსაკუთრებული დახმარება/მომსახურება, უზრუნველყოფილი სერვისები, ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი, საკრედიტო/სადებეტო ბარათის ან საბანკო ანგარიშის მონაცემები, ფრენის დეტალები, დასტურის ნომერი, დაბადების თარიღი, სამგზავრო დოკუმენტების დეტალები, დანიშნულების ადგილი, ხელჩანთის იარლიყის ნომერი, ბარგის აღწერილობა და ღირებულება, ბარგის იარლიყის ნომერი, ჯავშნის კოდი, ხელმოწერა, გაუქმებული/გადადებული რეისის ნომერი, ჯავშნის ნომერი, ახალი რეისის ნომერი, თქვენ მიერ შეძენილი სერვისები და WIZZ ანგარიშის ნომერი. **C. პირდაპირი მარკეტინგული კომუნიკაციის მონაცემები:** მათ შორის, სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელფოსტის მისამართი), ჯავშნის ქრონოლოგიური დეტალები, დაუსრულებელი დაჯავშნის შემთხვევაში კი გამგზავრებისა და დანიშნულების არჩეული პუნქტები, მგზავრობის ტიპი (ცალმხრივი ან ორმხრივი), გამგზავრების და ჩასვლის დროები, მგზავრთა რაოდენობა, არჩეული ტარიფის ტიპი, ტარიფის ჯამური ოდენობა, მომხმარებლის მიერ საინფორმაციო ბიულეტენის გამოწერის სტატუსი, ჯავშნის ტიპი (ჩვეულებრივი, WIZZ Discount Club, ჯგუფური), არჩეული სერვისები, Wizz Air-ის ვებგვერდის/აპის ენა. გაითვალისწინეთ, რომ თქვენ და ჩვენ შორის დადებული კონტრაქტის შესასრულებლად ან თქვენთვის სერვისებისა და ინდივიდუალური შემოთავაზებების უზრუნველსაყოფად თქვენი პერსონალური მონაცემები დაგვჭირდება. თუ თქვენ არ მოგვაწვდით მოთხოვნილ პერსონალურ მონაცემებს, ჩვენ ვერ შევძლებთ თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახურების სრულ ან ნაწილობრივ გაწევას.
თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების	თქვენი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად ჩვენ შეიძლება დავეყრდნოთ შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს: ● ევროკავშირის 679/2016 რეგულაციის („**GDPR**“) 6(1)(a) მუხლის თანახმად თქვენ მიერ მიცემული **თანხმობა** („**თანხმობა**“). ● თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება **თქვენთან გაფორმებული შეთანხმების შესასრულებლად**, შევასრულოთ GDPR-ის 6(1)(b) მუხლის მიხედვით („**კონტრაქტთან დაკავშირებული საფუძველი**“).

სამართლებრივი საფუძველი

- თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება მოხდეს Wizz Air-ის, Changeyourflight-ის ან ერთობლივად ორივე სუბიექტის **ლეგიტიმური ინტერესის** საფუძველზე, GDPR-ის 6(1)(f) მუხლის თანახმად („**ლეგიტიმური ინტერესი**").
- ჩვენ დავამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი **სამართლებრივი ვალდებულებების** საფუძველზე, GDPR-ის 6(1)(c) მუხლის შესაბამისად („**სამართლებრივი ვალდებულება**").

თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება დავამუშაოთ ქვემოთ განსაზღვრული მიზნებითა და სამართლებრივი საფუძვლებით:

მონაცემთა დამუშავების მიზანი	დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები	სამართლებრივი საფუძველი
გამოწერის სერვისის უზრუნველყოფა და მართვა	• მგზავრის რეგისტრაციის ჩანაწერის (PNR) მონაცემები • მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული მონაცემები • სერვისების შესახებ კომუნიკაციის მონაცემები • მესამე მხარეების სერვისებთან დაკავშირებული მონაცემები	**კონტრაქტთან დაკავშირებული საფუძველი**
მარკეტინგული კომუნიკაცია და საინფორმაციო ბიულეტენები	• მესამე მხარეების სერვისებთან დაკავშირებული მონაცემები	**თანხმობა**
მარკეტინგული კომუნიკაცია და საინფორმაციო ბიულეტენები	• პირდაპირი მარკეტინგული კომუნიკაციის მონაცემები	**ლეგიტიმური ინტერესი**

ჩვენი ლეგიტიმური ინტერესები

როცა თქვენს პერსონალურ მონაცემებს ჩვენი ლეგიტიმური ინტერესების საფუძველზე ვამუშავებთ, უსაფრთხოების სპეციალურ ზომებს ვიღებთ, რომ თქვენი კონფიდენციალურობა დაცული იყოს და თქვენი ინტერესები, ფუნდამენტური უფლებები თუ თავისუფლებები არ ზღუდავდეს ჩვენს ლეგიტიმურ ინტერესებს.

ჩვენი უმთავრესი ლეგიტიმური ინტერესების აღსასრულებლად ჩვენ ჩავატარეთ ბალანსირების ტესტი. ჩვენ გავითვალისწინეთ, თქვენს ინტერესებზე, უფლებებსა და თავისუფლებებზე რა ხარისხით შეიძლება მოახდინოს გავლენა ჩვენი მხრიდან მონაცემების დამუშავებამ, ასევე, კომპანიების ორგანიზაციულმა სტრუქტურამ და საქმიანობამ და კონფიდენციალურობის ჩვენმა გარანტიები. აღნიშნულის საფუძველზე, დავასკვენით, რომ ჩვენ მიერ მონაცემების დამუშავების მეთოდები (როგორც ეს აღწერილია ქვემოთ) არაპროპორციულად არ ზღუდავს თქვენს ინტერესებს, პირად უფლებებსა და თავისუფლებებს.

დამუშავების აქტივობა	ბალანსირების ტესტი
გამოწერის სერვისის უზრუნველყოფა და მართვა	თუ WIZZ MultiPass-ის სერვისს გამოიწერთ, როგორც კომპანიის საკონტაქტო პირი, მივიჩნევთ, რომ ლეგიტიმური ინტერესი გვაქვს, შევინარჩუნოთ საქმიანი კომუნიკაცია თქვენთან იმისთვის, რომ გაგიწიოთ მოთხოვნილი სერვისები. თუ ავიარეისების სერვისების მიწოდებასთან დაკავშირებით შეთანხმების მეორე მხარე იურიდიული პირია, გონივრულია, რომ თქვენი, როგორც შესაბამისი საკონტაქტო პირების, მონაცემები დამუშავდეს მოთხოვნილი სერვისის უზრუნველსაყოფად.
მარკეტინგული კომუნიკაცია და საინფორმაციო ბიულეტენები	ჩვენ შეიძლება გვქონდეს ლეგიტიმური ინტერესი, დაგიკავშირდეთ ანალიტიკური მიზნით მომხმარებელთა გამოკითხვების ჩასატარებლად, ხარისხის გასაუმჯობესებლად, მომსახურების განვითარებისთვის, ვებსაიტის მუშაობის გასაუმჯობესებლად, სარეკლამო კამპანიების წარმატების შესაფასებლად, სერვისების თქვენს საჭიროებებზე მოსარგებად ან თქვენთვის სასურველი საკონტაქტო არხის მეშვეობით საინფორმაციო ბიულეტენების გამოსაგზავნად.

რამდენ ხანს ვინახავთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს?

თქვენს პერსონალურ მონაცემებს დავამუშავებთ კონფიდენციალურობის შესახებ წინამდებარე შეტყობინებაში დასახელებული მიზნების შესრულებისთვის საჭირო დროის განმავლობაში ან იმ დროის განმავლობაში, რომელიც განსაზღვრულია შესაბამისი კანონმდებლობით.

მონაცემთა დამუშავების მიზანი	შენახვის პერიოდი
გამოწერის სერვისის უზრუნველყოფა და მართვა	თქვენი პერსონალური მონაცემები შეინახება ჩვენთან გაფორმებული შეთანხმების შესრულებიდან 6 წლის განმავლობაში, მონაცემთა შენახვასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. რეისებთან დაკავშირებულ თქვენს პერსონალურ მონაცემებს (PNR) 5 წლით შევინახავთ, რეისის შესრულებიდან 6 თვის შემდეგ კი მათ ანონიმურად გარდავქმნით.
მარკეტინგული კომუნიკაცია და საინფორმაციო ბიულეტენები	ჩვენ ვინახავთ თქვენს შესახებ შეგროვებულ ინტერნეტ ძიების მონაცემებს ჩვენი ქუქი-ჩანაწერების პოლიტიკის შესაბამისად. ჩვენ ვამუშავებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს თქვენი თანხმობის გაუქმებამდე (სანამ არ გააუქმებთ ჩვენი საინფორმაციო ბიულეტენებისა და მარკეტინგული კომუნიკაციების გამოწერას).

ვის შეიძლება ჰქონდეს წვდომა თქვენს მონაცემებზე?

მუშაობის პროცესში ოპერატორებმა შეიძლება ჩართონ მონაცემთა დამუშავების სხვადასხვა წყაროები და მომსახურების გარე პროვაიდერები, რომლებიც თქვენს პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებენ კონკრეტული მიზნებისთვის ჩვენი სახელითა და მითითებებით. ამას გარდა, მოქმედი საავიაციო კანონმდებლობის შესაბამისად, Wizz Air ვალდებულია, გაუზიაროს თქვენი პერსონალური მონაცემები სახელმწიფო ორგანოებს, უწყებებსა და სხვა აღმასრულებელ დაწესებულებებს.

ევროპის ეკონომიკური ზონის გარეთ თქვენი პერსონალური მონაცემების გადაცემა საჭიროა თქვენ მიერ მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად. თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა შეიძლება ჰქონდეთ Wizz Air ჯგუფის წევრებს, მონაცემთა დამმუშავებლებსა და მომსახურების პროვაიდერებს იმ ქვეყნებში, რომლებშიც

	მონაცემები ევროპის ეკონომიკურ ზონასთან შედარებით ნაკლებად დაცულია. საჭიროების შემთხვევაში, ყველა ზომას მივიღებთ იმისთვის, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების მიმღებმა მხარეებმა უზრუნველყონ მონაცემთა შესაბამის დონეზე დაცვა მონაცემთა დაცვის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის თანახმად; კერძოდ, ევროკომისიის მიერ გამოცემული სტანდარტული სახელშეკრულებო პირობების გამოყენებით ან ევროკომისიის გადაწყვეტილების შესრულებით, რომლის თანახმადაც პერსონალური მონაცემების მიმღებმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მონაცემების სათანადო დონეზე დაცვა.
	
	თუ საზღვარგარეთ პერსონალური მონაცემების გადაცემის დროს სათანადო დაცვის უზრუნველყოფა არ მოხდება, თქვენგან დაჩქარებულ თანხმობას მოვითხოვთ ამგვარ გადაცემაზე. გაითვალისწინეთ, რომ მონაცემთა ამგვარი გადაცემა, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს გარკვეულ რისკებთან, კერძოდ, მიმღები ქვეყნის არაუფლებამოსილ მესამე მხარეებს, შესაძლოა, წვდომა ჰქონდეთ ამ მონაცემებზე და შეიძლება ვერ მოახერხოთ მონაცემთა დაცვის უფლებების და/ან თქვენი უფლებების გამოყენება ისეთი ქმედებების წინააღმდეგ, რომლებმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს თქვენს პერსონალურ მონაცემებს და კონფიდენციალურობაზე თქვენს უფლებას.
	
	ჩვენს ვებსაიტზე საწყის და დანიშნულების ადგილებს შორის ნახავთ მესამე მხარის ქვეყნებს, რომლებშიც შეიძლება გადაიცეს თქვენი პერსონალური მონაცემები, ან რომლებიდანაც შეიძლება თქვენს პერსონალურ მონაცემებზე წვდომა განხორციელდეს, თქვენი მოგზაურობის დანიშნულების პუნქტისა და სერვისის პროვაიდერების მიხედვით.
	
	თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გავუმჟღავნოთ შემდეგი კატეგორიის მესამე მხარეებს (მიმღებები), ქვემოთ მოცემული მიზნებისთვის:
	
	• **Wizz Air ჯგუფი:** თქვენი პერსონალური მონაცემები შეიძლება გაუზიარდეს Wizz Air ჯგუფს, რამდენადაც ეს საჭირო იქნება თქვენთვის იმ მომსახურებების გასაწევად, რომლებსაც ჩვენგან შეიძინეთ ან იმისთვის, რომ შეიძინოთ მესამე მხარეების მიერ მოწოდებული სერვისები/პროდუქტები ჩვენი ვებსაიტის, მობილური აპლიკაციისა თუ საინფორმაციო ცენტრის მეშვეობით.
	Wizz Air ჯგუფის შესახებ დამატებითი ინფორმაციის სანახავად დააწკაპუნეთ აქ.
	• **სერვისის პროვაიდერები:** ჩვენგან შეძენილი სერვისების უზრუნველყოფაში მესამე მხარეები გვეხმარებიან. მესამე მხარეების ამგვარ მომსახურებებში შედის:
	  • გადახდების დამუშავების სერვისები;
	  • ლოიალობის სქემების მართვა;
	  • მარკეტინგული სააგენტოები;
	  • IT მხარდაჭერის სერვისების გაწევა;
	  • ბუღალტრული კომპანიები;
	  • მომხმარებელზე ზრუნვის სერვისების გაწევა;
	  • სხვა მესამე მხარეები, როგორებიცაა იურიდიული კომპანიები ან სერვისის პროვაიდერები;

თქვენი უფლებები	თქვენ გაქვთ ქვემოთ აღნიშნული უფლებები: (i) <u>წვდომის უფლება:</u> უფლება გაქვთ, გვკითხოთ, ვამუშავებთ თუ არა თქვენ შესახებ პერსონალურ მონაცემებს და დადებითი პასუხის შემთხვევაში მოითხოვოთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა პერსონალურ მონაცემებს ვფლობთ. ამას გარდა, ჩვენ ვალდებული ვიქნებით, ვუპასუხოთ სხვა შეკითხვებსაც, მათ შორის, თუ რატომ ვიყენებთ თქვენს პერსონალურ მონაცემებს, კონკრეტულად რა მონაცემებს ვფლობთ და ვის მივანიჭეთ მათზე წვდომა. გაითვალისწინეთ, რომ ეს არ არის აბსოლუტური უფლება და წვდომაზე თქვენი უფლებები, შესაძლოა, სხვა პირების ინტერესებმა შეზღუდოს. ჩვენ შეიძლება მოგთხოვოთ დამატებითი ინფორმაცია იდენტიფიკაციისათვის ან თქვენ მიერ მოთხოვნილი დამატებითი ასლებისათვის დაგაკისროთ გონივრული გადასახადი ადმინისტრაციულ ხარჯებზე დაყრდნობით. (ii) <u>გასწორების უფლება:</u> თქვენი მოთხოვნის საფუძველზე, ჩვენ ვალდებული ვართ, გავასწოროთ არაზუსტი პერსონალური მონაცემები ან შევავსოთ არასრული პერსონალური მონაცემები. სახელის ცვლილების/შესწორების Wizz Air-ის მიერ დადგენილ წესებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის სანახავად დააწკაპუნეთ აქ. (iii) <u>წაშლის უფლება (მეხსიერებიდან წაშლის უფლება):</u> ჩვენ, გარკვეულ გარემოებებში, ვალდებული ვართ, წავშალოთ თქვენი პერსონალური მონაცემები თქვენი მოთხოვნის საფუძველზე. (iv) <u>დამუშავების შეზღუდვის უფლება:</u> ჩვენ, გარკვეულ გარემოებებში, ვალდებული ვართ, შევზღუდოთ ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება თქვენი მოთხოვნის საფუძველზე. ასეთ დროს პერსონალური მონაცემების გამოყენების უფლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილ კონკრეტულ შემთხვევებში გვექნება. (v) <u>მონაცემთა მიღების უფლება:</u> გარკვეულ გარემოებებში შეიძლება უფლება გქონდეთ, მიიღოთ თქვენი პერსონალური მონაცემები, რომლებზეც წვდომა გვაქვს, გარკვეული სტრუქტურით, ზოგადი ფორმითა თუ მანქანით წაკითხვადი ფორმატით. ამას გარდა, შეიძლება უფლება გქონდეთ, მოითხოვოთ ამ მონაცემების გადაცემა სხვა პირისთვის ჩვენგან ხელის შეშლის გარეშე. (vi) <u>გაპროტესტების უფლება:</u> **უფლება გაქვთ, გააპროტესტოთ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავება თქვენს მდგომარეობასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიზეზით; ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ჩვენ ვერ შევძლოთ თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავება. თუ გაპროტესტების უფლება გაქვთ და ამ უფლებით გამართლებულად ისარგებლებთ, თქვენი პერსონალური მონაცემები აღარ დამუშავდება იმ მიზნებისთვის, რომლებსაც გააპროტესტებთ. აღნიშნული უფლებით სარგებლობა სრულად უფასოა.** თუ გსურთ, ისარგებლოთ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული უფლებებით, გთხოვთ, პირველ რიგში, დაუკავშირდეთ Wizz Air-ს სექციაში „მონაცემთა დაცვის ოფიცერი“ მოცემული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით. ალტერნატივის სახით, მოთხოვნის გადაგზავნა შეგიძლიათ აქ — ამისათვის ჯერ უნდა შეხვიდეთ თქვენს Wizz ანგარიშში და გახსნათ მონაცემთა დაცვის ჩანართი. თუ არ გაქვთ Wizz ანგარიში, გამოგზავნეთ თქვენი მოთხოვნა მისამართზე data.protection@wizzair.com. თუ ფიქრობთ, რომ თქვენი კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის უფლებები დაირღვა, შეგიძლიათ წარადგინოთ საჩივარი უნგრეთის მონაცემთა დაცვისა და ინფორმაციის თავისუფლების ეროვნულ სააგენტოში (Nemzeti Adatvédelmi és Információszabadság Hatóság – NAIH; რეგისტრაციის ადგილი: H-1054 Budapest, Falk Miksa str. 9-11.; ვებსაიტი: www.naih.hu; ტელეფონი: +36-1-391-1400; ელფოსტა: ugyfelszolgalat@naih.hu; ფაქსი: +36 1 391 1410) Wizz Air-ის მონაცემთა დაცვის საქმიანობასთან დაკავშირებით. თქვენ ასევე გაქვთ უფლება შეიტანოთ საჩივარი ესპანეთის მონაცემთა დაცვის სააგენტოში (Agencia Española de Protección de Datos) (რეგისტრაციის ადგილი: C/Jorge Juan, 6, 28001 Madrid; ვებსაიტი: https://www.aepd.es/; ტელეფონი: +34 91 266 3517; ელფოსტა: internacional@aepd.es; ფაქსი: +34 91 455 5699) Changeyourflight-ის მონაცემთა დაცვის საქმიანობასთან დაკავშირებით.

	შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მონაცემთა დაცვის მარეგულირებელ უწყებასაც ევროკავშირის შესაბამის წევრ ქვეყანაში, რომელშიც ცხოვრობთ, მუშაობთ ან დარღვევა მოხდა. თუ გაერთიანებულ სამეფოში ცხოვრობთ, დაუკავშირდით საინფორმაციო კომისრის ოფისს (მისამართი: Wycliffe House, Water Lane, Wilmslow, Cheshire, SK9 5AF; ტელეფონი: 0303 123 1113; ფაქსი: 01625 524510; Live ჩატი: https://ico.org.uk/global/contact-us/live-chat/live-chat-individuals/) თუ ფიქრობთ, რომ დაირღვა თქვენი უფლებები მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებით.
მონაცემთა დაცვის ოფიცერი	კონფიდენციალურობის შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვების შემთხვევაში ან ჩვენ მიერ თქვენი პერსონალური მონაცემების დამუშავების მეთოდების გასაგებად დაგვიკავშირდით ამ ვებ-ფორმის მეშვეობით, ან Wizz Air-ის მონაცემთა დაცვის ოფიცერს გაუგზავნეთ წერილი ან ელფოსტა (Wizz Air Hungary Ltd., Lecher Ödön fasor 6., H-1095, Budapest, Hungary და / ან data.protection@wizzair.com).